შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია”

(ს/კ 404485188)

წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

27/12/ 2024 წელი

წესდება/პარტნიორთა შეთანხმება
(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის)
მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1 **შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ (ინგლისური სახელწოდება: Energy Development Georgia LLC)** წარმოადგენს ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.
1.2 **საზოგადოების იურიდიული მისამართი:** საქართველო, თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი N: 70 (საკადასტრო კოდი; 01.14.03.038.067) ბიზნეს ცენტრი ,,სითი თაუერი“, მე–17 სართული

1.3 **საზოგადოების ელექტრონული მისამართი:** giorgi@edgeorgia.ge

1.4. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
1.5. საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
1.6.საწარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.
1.7. საზოგადოების საქმიანობის საგანი: ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა–ოპერირება და სხვა საშუალებებით ელექტროენერგიის წარმოება, რეალიზაცია
1.8. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

წინამდებარე წესდების ახალი რედაქცია დამტკიცდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N:172/04 –ით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან” (შემდგომში ,,კორპორაციული მართვის კოდექსი“) შესაბამისობის მიზნით

მუხლი 2
საზოგადოების დამფუძნებლები და კომპანიის ორგანოები
2.1. საზოგადოების დამფუძნებლები: განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით;

2.2 საზოგადოების ორგანოებია:
2.1.1 საერთო კრება
2.1.2 სამეთვალყურეო საბჭო
2.1.3 ხელმძღვანელი ორგანო – დირექტორი

მუხლი 3
საზოგადოების მართვა
3.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება;
3.2. **სამეწარმეო საზოგადოება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა ატარებს მორიგ საერთო კრებას.** საერთო კრებას იწვევს ხელმძღვანელი ორგანო ან სამეთვალყურეო საბჭო. საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო.
3.3 საერთო კრება ტარდება ხელმძღვანელი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (ელექტრონულ მისამართზე) საჯაროდ გამოქვეყნებიდან და პარტნიორებისთვის მოსაწვევების გაგზავნიდან სულ ცოტა 14 დღის შემდეგ. საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს პარტნიორის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლებას.
3.4 საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება/მოსაწვევი უნდა შეიცავდეს საერთო კრების დღის წესრიგს.
3.5 პარტნიორს უფლება აქვს, ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემა და წარადგინოს თავისი მოთხოვნა/აზრი. თუ

პარტნიორის მოთხოვნა საერთო კრებამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე წერილობით იქნება წარდგენილი, იგი უნდა დაკმაყოფილდეს ან შეტანილი უნდა იქნეს დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად. პარტნიორს შეუძლია ამავე წესით მოითხოვოს დღის წესრიგში საკითხის შეტანა/დამატება. საერთო კრების დღის წესრიგის საკითხის თაობაზე განმარტებების გაცემაზე ან დღის წესრიგში საკითხის შეტანის მოთხოვნაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებითი ინტერესების დასაცავად, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

3.6 რიგგარეშე კრება:

3.6.1 პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს/აქვთ ხელმძღვანელ ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო ხელმძღვანელი პირების არყოფნის შემთხვევაში (გარდაცვალება, თანამდებობიდან გადადგომა, მათი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა და სხვა) – პარტნიორს/პარტნიორებს, რომელიც/რომლებიც ფლობს/ფლობენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების ან ხმის უფლების მქონე წილების სულ მცირე 5 პროცენტს.
3.6.2 პარტნიორს/პარტნიორებს, რომელიც/რომლებიც ფლობს/ფლობენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების ან ხმის უფლების მქონე წილების სულ მცირე 5 პროცენტს (ინიციატორი პარტნიორი/პარტნიორები), უფლება აქვს/აქვთ, ამ წესდების შესაბამისად კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს მოსთხოვოს/მოსთხოვონ პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევა. პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ბოლო საერთო კრების ჩატარებიდან არაუადრეს 1 თვისა;
3.6.3 პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ ინიციატორი პარტნიორის/პარტნიორების მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და უნდა შეიცავდეს მისი დღის წესრიგის საკითხებს. ამ საკითხების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათს. საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანო ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა ჩაატაროს პარტნიორთა რიგგარეშე კრება.
3.6.4 თუ პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ ინიციატორი პარტნიორის/პარტნიორების მოთხოვნის წარდგენიდან 20 დღის ვადაში ის არ მოიწვევა, ინიციატორ პარტნიორს/პარტნიორებს უფლება აქვს/აქვთ, თავად მოიწვიოს/მოიწვიონ რიგგარეშე კრება, დაამტკიცოს/დაამტკიცონ მისი დღის წესრიგი.
3.6.5 საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო. საერთო კრების წესდებით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუ კრებას ყველა პარტნიორი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. პარტნიორის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

3.7 საერთო კრების გადაწყვეტილების საერთო კრების ჩატარების გარეშე მიღება
3.7.1 პარტნიორთა გადაწყვეტილების მისაღებად საერთო კრების მოწვევა აუცილებელი არ არის თუ ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.
3.7.2 საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანო/პირი გადასაწყვეტი საკითხების შემცველ დღის წესრიგს და პარტნიორთა გადაწყვეტილების პროექტს უგზავნის პარტნიორებს მათ რეგისტრირებულ მისამართებზე ან ელექტრონული ფორმით. გზავნილი პარტნიორთა გადაწყვეტილების პროექტსა და დღის წესრიგთან ერთად უნდა შეიცავდეს:
(ა) მითითებას იმ ვადაზე, რომელშიც პარტნიორებმა საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს წერილობით უნდა აცნობონ თავიანთი პოზიცია გადასაწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ვადა განსაზღვრულია წესდებით ან გადაწყვეტილების პროექტით. თუ აღნიშნული ვადა წესდებით ან გადაწყვეტილების პროექტით განსაზღვრული არ არის, ის 15 დღეს შეადგენს და აითვლება პარტნიორის მიერ გადაწყვეტილების პროექტის მიღებიდან;
(ბ) გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ ყველა ინფორმაციას/მონაცემს და დოკუმენტს;
(გ) წესდებით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებსა და ინფორმაციას/მონაცემებს.

3.7.3 თუ 3.7.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში პარტნიორი საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანოს წერილობით არ აცნობებს თავის თანხმობას პარტნიორთა გადაწყვეტილების პროექტზე, მიიჩნევა, რომ იგი ამ პროექტს არ ეთანხმება.
3.7.4 პარტნიორთა გადაწყვეტილების საერთო კრების ჩატარების გარეშე მიღებისას გადაწყვეტილება მიიღება პარტნიორთა ხმების 95%–ით, რომელიც გამოითვლება ყველა პარტნიორის ხმების საერთო რაოდენობიდან.
3.7.5 3.7 პუნქტის შესაბამისად მიღებულ პარტნიორთა გადაწყვეტილებას ხელს აწერს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილების მქონე ორგანო. იგი მის ასლებს, რომლებზედაც მითითებულია

გადაწყვეტილების მიღების თარიღი, უგზავნის პარტნიორებს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

3.8. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 95%. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების 95% – ით. თუ პარტნიორთა კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, ორი კვირის ვადაში მოწვეულ უნდა იქნას მეორე კრება იმავე დღის წესრიგით. ეს კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მაშინ , თუ გამოცხადდა ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 51%. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების 51% – ით.

3.8[1]. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი - ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. მმართველი ორგანოს ყველა წევრი, შიდა აუდიტის და სხვა კომიტეტების თავჯდომარეები, ასევე გარე აუდიტორები უნდა ესწრებოდნენ საერთო კრებას. საერთო კრების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს გაეცეს პასუხი. დირექტორებმა უნდა უპასუხონ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი მატერიალურ ზიანს მიაყენებს საწარმოს, მის აქციონერებს/პარტნიორებსა და დასაქმებულებს, ან დაარღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს[1].

3.10. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

3.11 პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

3.11.1 წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

3.11.2 **სამეთვალყურეო საბჭოს მმართველი ორგანოს ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცებაზე პასუხისმგებელია საერთო კრება[2].**

3.11.3 საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება; ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას;

3.11.4 ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

3.11.5 ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

3.11.6 ვალდებულებათა აღება, მათ შორის სასესხო ვალდებულების აღება, კრედიტის აღება/გაცემა.

3.11.7 ვალდებულებათა უზრუნველყოფა;

3.11.8 ორგანიზაციის მიერ თავდებობის გაცემა;

3.11.9 ორგანიზაციის აქტივების გასხვისება/უფლებრივად დატვირთვა/დაგირავება;

3.11.10 პროკურის გაცემა და გაუქმება;

3.11.11 წლიური აუდიტის შედეგების დამტკიცება;

3.11.12 გარე აუდიტორის არჩევა;

3.11.13 საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

3.11.14 იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

3.11.15 შენატანების მოთხოვნა;

3.11.16 დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

3.11.18 სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გადაყენება.

3.11.19 გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის მოწონების თაობაზე

3.11..20 ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3.11..21 დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე.

3.12 პარტნიორთა საერთო კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციული ხმათა რაოდენობა.

---

[1] ცვლილება გაკეთდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

[2] ცვლილება გაკეთდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

მუხლი 4. საზოგადოების პარტნიორთა უფლებები

4.1 გარდა წინამდებარე წესდებით და კანონით გათვალისწინებულისა, საზოგადოების ყოველ პარტნიორს გააჩნია შემდეგი უფლებები:
4.1.1 მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;
4.2.2 კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;
4.3.3 საზოგადოების მოგებიდან მიიღოს კუთვნილი წილი საზოგადოების კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად.
4.4.4 შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით საზოგადოების წიგნები და ჩანაწერები.
4.4.5 მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

მუხლი 5 სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების წესი

5.1 სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირების წესი:
5.1.1 სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის/გაუქმების, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის/გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას და მათ მიერ გაწეული საქმიანობის ანაზღაურების მიზნით წლიური ფონდის მოცულობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო მისი შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.
5.1.1[1] ***სასურველია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყოს დამოუკიდებელი წევრი, თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ არის დამოუკიდებელი წევრი, თავმჯდომარისთვის მიკუთვნებულ ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელმაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ინვესტორთა (ობლიგაციონერების) ინტერესებზე, თავმჯდომარე იღებს დამოუკიდებელი წევრის თანხმობით[3].***
5.1.2 სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება **5 (ხუთი)[4]** წევრით და მათი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 5 (ხუთი) წლისა;
5.1.3 საერთო კრება უფლებამოსილია განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსხვავებული რაოდენობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კონკრეტულ წევრებთან დაკავშირებით გადაწყვიტოს უფლებამოსილების განსხვავებული ვადა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება დაინიშნოს ხელახლა, იმავე თანამდებობაზე შეზღუდვების გარეშე, თუმცა დამოუკიდებელ წევრებთან მიმართებაში გათვალისწინებული უნდა იყოს კორპორაციული მართვის კოდექსის კრიტერიუმებით დადგენილი მოთხოვნები.
5.1.4 **სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, თუმცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი.**
5.1.5 სამეთვალყურეო საბჭოს **ორი[5]** წევრი მაინც უნდა იყოს „დამოუკიდებელი წევრი“. *სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა წარმოადგენდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბერის გრძანება N172/04–ით დამტკიცებულ კორპორაციულ მართვის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.*
5.1.6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შეუძლიათ გადადგენ თანამდებობიდან ნებისმიერ დროს საზოგადოებისათვის ამის შესახებ მინიმუმ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული გადადგომის წესი არ ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოს ,,დამოუკიდებელი წევრზე“, რომლის გადადგომის საკითხი მოწესრიგებული იქნება ,,დამოუკიდებელ წევრთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით.
5.1.6[1] თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი

---

[3] ცვლილება გაკეთდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით
[4] ცვლილება გაკეთდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით
[5] ცვლილება გაკეთდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია .[6]

მუხლი 6 სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა

6.1 . სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე მეტად ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

6.2 სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

მუხლი 7. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები გაწერილია წინამდებარე წესდებით და ასევე რეგულირებულია კორპორაციული მართვის კოდექსით

7.1 რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცება და მათი ეფექტური ფუნქციონირების ზედამხედველობა;

7.2 ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის განსაზღვრა;

7.3 ორგანიზაციის სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

7.4 ფინანსური დაგეგმარების და ანგარიშგების საერთო სტანდარტების დამტკიცება;

7.5 საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობის შემოწმება;

7.6 საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის, ასევე ქონებრივი ობიექტების, კერძოდ საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის კონტროლი და შემოწმება, სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრების ან განსაზღვრული ექსპერტების მეშვეობით.

7.7 ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტის შესახებ რეკომენდაციების საერთო კრებისთვის წარდგენა

7.8 ორგანიზაციის დივიდენდის განაწილების შესახებ საერთო კრებისთვის რეკომენდაციების წარდგენა.

7.9 საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

7.10 სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება. ასევე ემისიის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.

7.11 აუდიტის კომიტეტის შექმნის/გაუქმების, ასევე აუდიტის კომიტეტის წევრების/თავმჯდომარის დანიშვნის/გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, აუდიტის კომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, აუდიტის კომიტეტისთვის შესაბამისი დავალებების მიცემა და მისი საქმიანობის კონტროლი.

7.11[1] დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება[7]

მუხლი 7[1] სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები [8]

---

[6] ცვლილება გაკეთდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

[7] ცვლილება გაკეთდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

[8] დაემატა კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

7[1]1 სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N:172/04 –ით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან" (შემდგომში ,,კორპორაციული მართვის კოდექსი") შესაბამისობის მიზნით ყველა შესაბამისი ღონისძიების ორგანიზაციაში გატარებას და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას, მათ შორის წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დებულებების აღსრულების მიზნით. ამასთან, სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ორგანიზაციის შიდა წესებთან/დოკუმენტებთან;

7[1]2 სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს, მათ შორის ეთიკის კოდექსის, რისკების მართვის ჩარჩო დოკუმენტის, აუდიტის კომიტეტის დებულებების დამტკიცებას. *ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტთა დებულებები, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები; ორგანიზაციის წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი;*

7[1]3 საწარმოს მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.

7[1]4 კანონმდებლობით და საწარმოს წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:

- განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;
- განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები
- **განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;**
- **დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;**
- **უნდა უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნა რეგულარულად უნდა განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს საწარმოს დირექტორს, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭო, ანაზღაურების კომიტეტთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაამტკიცოს შიდა აუდიტის, კორპორაციული მდივნისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკას, ოდენობას და ამასთან, მონიტორინგი გაუწიოს ანაზღაურების პოლიტიკების, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას;**
- **ყოველწლიურად უნდა მოამზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას.**
- დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;
- **მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;** უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს;

- მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;
- უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას;

7[1]5 საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა;

7[1]6 სამეთვალყურეო საბჭომ წლიურ ანგარიშში უნდა აღწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბერის ბრძანება N172/04–ით დამტკიცებულ კორპორაციულ მართვის კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობის საკითხებს;

მუხლი 8. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი

8.1 სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი

8.1.1 სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდიდეს სხდომების სიხშირეს[9]. სხდომების მოწვევა უნდა განხორციელდეს სხდომამდე მინიმუმ 7 (შვიდი) დღით ადრე დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (მისი არ ყოფნისას – მისი მოადგილის) მხრიდან სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. შეტყობინება უნდა შეიცავდეს სხდომის დღის წესრიგს.

8.1.2 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილნი. ერთი წევრი შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ ერთი წევრით. სხდომის ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი. ოქმს ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

8.1.3 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დასწრება ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე ფიზიკურად დასწრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიღებას დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებებით (საკონფერენციო ზარი, სკაიპი ან სხვა საკომუნიკაციო საშუალება).

8.1.4 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ წარმოდგენილია წევრთა სულ მცირე 1/3, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

8.1.5 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება დამსწრე ან წარმოდგენილი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა რაოდენობის თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

8.1.5[1] საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული მდივანი, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პირი უნდა ითავსებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. [10]

მუხლი 9 . სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტი [11]

9.1 საწარმო ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას აუდიტის კომიტეტი;

---

[9] ცვლილება განხორციელდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

[10] ცვლილებები განხორციელდა კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

[11] ცვლილება განხორციელდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

9.2. აუდიტის კომიტეტი თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტის დებულების შესაბამისად;

9.3. სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით უნდა ცვლიდეს კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება;

9.4. კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში კორპორაციული მდივნის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული იმ პირის მიერ, ვინც ითავსებს კორპორაციული მდივნის ფუნქციებს. კომიტეტი გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად უნდა წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან;

9.5. კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.

9.8. **კომიტეტების შეხვედრები წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებულ პირების შეხვედრაზე დასწრება. აუდიტის კომიტეტმა, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც, უნდა შეაფასოს საწარმოს შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობა და ამის თაობაზე მოახსენოს აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრებას.**

9.9. სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:

ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;

ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;

გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;

დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;

ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;

ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;

ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას;

თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;

ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით;

9.10. კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, ***<u>მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.</u>***

9.11. აუდიტის კომიტეტის წევრებს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ჰქონდეთ ფინანსური განათლება ან შესაბამისი ფინანასური გამოცდილება;

9.12. აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ;

ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტების ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.

9.13. საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი:

ა) აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;

ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში მიუხედავად პოზიციის დატოვებისა;

მუხლი 9[1] კორპორაციული მდივნი [12]

9.1. საწარმომ უნდა დანიშნოს კორპორაციული მდივნი ან განსაზღვროს საწარმოს თანამშრომელი (იურისტი), რომელიც შეასრულებს კორპორაციული მდივნის შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, დაეხმარება საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მისცემს კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებულ რჩევებს;

გ) მჭიდროდ ითანამშრომლებს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭსთან მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში;

დ) გეგმავს საჭირო ტრენინგებს და მოსამზადებელ საორიენტაციო შეხვედრებს უკვე მომუშავე თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის;

ე) აწარმოებს და/ან ინახავს ყველა კორპორაციულ დოკუმენტს, ოქმს თუ სხვა საჭირო საბუთს და ინფორმაციას მინიმუმ 6 წლის ვადით;

ვ) ახორციელებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;

ზ) ორგანიზებას უკეთებს აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების ჩატარებას, რიგგარეშე კრების მოწვევას და უზრუნველყოს ყველა საჭირო ვადებისა და პროცედურების დაცვას კრების ჩასატარებლად. უზრუნველყოს, რომ კრების ოფიციალური მოწვევის განმახორციელებელ პირს მიეწოდოს სრული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელთა დღის წესრიგში შეტანა, კანონმდებლობის და წესდების დაცვით, მოთხოვნილ იქნა აქციონერთა/პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ;

თ) უზრუნველყოფს მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობა;

ი) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს სხდომების, აგრეთვე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქცია და აწარმოოს ოქმები.

---

[12] ცვლილება განხორციელდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

9.2. კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირი, ამ ფუნქციების შესრულების დროს, წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

9.3. სამეთვალყურეო საბჭო დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი.

9.4. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელ პირს. კორპორაციული მდივნის ფუნქციების შემსრულებელი პირი ამავე დროს არ უნდა იყოს საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, მინიჭებული არ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ან სხვაგვარად არ უნდა იყოს დაკავშირებული საწარმოსთან ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას თავისი მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში;

მუხლი 10
საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

10.1 **დირექტორს გააჩნია საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებას ერთპიროვნულად.**

10.2 დირექტორი უფლებამოსილია იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში.

10.3 დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს კომპანიის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

10.4 დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

10.5 დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით[13].

10.6 ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.

10.7 საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს. ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

10.8 დირექტორი უფლებამოსილია:

10.8.1 **შეადგინოს საზოგადოების სტრუქტურა და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს[14].**

10.8.2 მიიღოს და გაათავისუფლოს საზოგადოების თანამშრომლები, წაახალისოს და დააკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა ;

10.8.3 გასცეს მინდობილობები;

10.8.4 გახსნას, მართოს, განკარგოს და დახუროს საზოგადოების საბანკო ანგარიშები, საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე.

10.8.5 გამოსცეს საორგანიზაციო-განმაკარგულებელი ხასიათის დოკუმენტები;

10.8.6 გადაწყვიტოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები;

---

[13] ცვლილება განხორციელდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

[14] ცვლილება განხორციელდა კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

მუხლი 11

წილის უპირატესი შესყიდვის უფლება

11.1 პარტნიორებს აქვთ გამოშვებულ ახალ წილებზე უპირატესი შესყიდვის უფლება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2 პარტნიორის მიერ წილის გასხვისების შემთხვევაში, სხვა პარტნიორებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება აღნიშნულ წილზე, უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შეთავაზების შემთხვევაში პარტნიორებს აღნიშნული უფლების გამოყენებისთვის უნდა მიეცეთ გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ 14 დღისა. აღნიშნული ვადის შემდგომ პარტნიორი უფლებამოსილია გაასხვისოს წილი ნებისმიერ მესამე პირზე იმავე პირობით.

მუხლი 12
საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

12.1 საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

12.1 სუბიექტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) ძალაში შედის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში წესდების რეგისტრაციის დასრულების დღიდან

7.2. თუ ამ წესდების (პარტნიორთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

შპს ,,ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას" პარტნიორი, შპს "გრინ – ენერჯი ჰოლდინგი",

წარმოდგენელი

გიორგი შუკაკიძე (პ/ნ01003005878)

_____

Giorgi Shukakidze 01003005878

Digitally signed by Giorgi Shukakidze
Date: 2024.12.27 18:29:41